საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 91 (6468) 30 ივლისი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

შეიქმნა საკრებულოთა დახმარების ფონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრომრეწვბანკში ამ ცოტა ხნის წინ გაიხსნა რაიონის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის წაკურალეშის საკრებულოს დახმარების ფონდი, რომლის ანგარიშის № 70045-ია. აღნიშნულ ანგარიშზე შევა სოფლის გულშემატკივართა მიერ გაღებული თანხა, და, იგი ამ სოფლის მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას მოხმარდება.

ახლახან გაიხსნა ასევე ლუხვანოს საკრებულოს დახმარების ფონდი, ანგარიშის № 70047, ამ ანგარიშზე შესული თანხაც ამ სოფლის კეთილმოწყობა-აღორძინების საქმისთვის გამოიყენება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

25 ივლისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის თავმჯდომარეობით.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები. აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

პრესაში გამოქვეყნებული და რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული დღის წესრიგის დამტკიცებისას მასში დამატებით შეიტანეს კიდევ ორი საკითხი— საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 75-ე მუხლის განმარტებისა და ქალაქ ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე მმართველობის დროებითი ორგანოების შექმნის შესახებ, უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონის შესახებ ხოლო საკითხი ქალაქ სიღნაღში არჩევნების მოწყობის შესახებ მოიხსნა.

საკითხების განხილვის დაწყების წინ სრულიად საქართველოს მერად კოსტავას საზოგადოების სახელით განცხადება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ვაჟა ადამიამ, რომელმაც უარყო 19 ივლისს გაზეთ „თავისუფალ საქართველოში" გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში მარნეულის რაიონის პრეფექტის საქმიანობის გამო მოყვანილი ფაქტები და მოითხოვა შეიქმნას საპარლამენტო კომისია ჭეშმარიტების დასადგენად.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე—საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის დაზუსტებული და წლის მეორე ნახევრის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ—გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე. დეპუტატებს შორის აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც. რომელმაც საფუძვლიანად გააანალიზა ეკონომიკაში შექმნილი მძიმე სიტუაციის მიზეზები და მოუწოდა მთავრობას, განახორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. უზენაესმა საბჭომ მთავრობას დაავალა უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს მოქმედების კონკრეტული პროგრამა.

შემდეგ სიტყვა მიეცა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს გივი თაქთაქიშვილს. მან დეპუტატთა განსახილველად შემოიტანა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომელშიც სესიის წინა სხდომაზე პირველი წაკითხვით მისი მიღების შემდეგ შეტანილია არსებითი დამატებანი. განიხილა რა ისინი, უზენაესმა საბჭომ მიიღო ის კანონი, აგრეთვე დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

კანონპროექტმა დასაქმების შესახებ, რომელიც განსახილველად შემოიტანა საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრმა თამაზ გუგუშვილმა, მწვავე კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობდნენ როგორც უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები თეიმურაზ ქორიძე, ტარიელ გელანტია, რობერტ პეტრიაშვილი და სხვა დეპუტატები, ისე რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. საფუძვლიანი აზრთა გაზიარების შემდეგ კანონი დასაქმების შესახებ მიიღეს. მიიღეს აგრეთვე კანონები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის და დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა, მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონები საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ, უცხოური ინვესტიციებისა და მათი დაცვის შესახებ, დადგენილებანი მათი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თედო პაატაშვილის წარდგენით დეპუტატებმა მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ. იგი ამოქმედდა მისი მიღების მომენტიდან ამავე სხდომაზე, რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ 1968 წლის 1 ივლისის ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტებს მიმართა წინადადებით, მიჰბაძონ მის მაგალითს, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამიერკავკასიის რეგიონის უბირთვო ზონად გამოცხადების გზაზე.

სხდომაზე მიიღეს აგრეთვე დადგენილება საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც ახლახან დაიდო თბილისში.

იმ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისადმი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმართვას პასუხად, რომლებმაც უარი თქვეს ხელი მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, საქართველოს პარლამენტარებმა მიიღეს წერილი მისი მისამართით, რომელშიც ხაზგასმულია რესპუბლიკის მისწრაფება, კავშირურთიერთობა დაამყაროს სუბიექტთა კავშირთან თვისებრივად ახალ საფუძველზე, მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიან, ურთიერთხელსაყრელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე, და ამის გათვალისწინებით კვლავ დადასტურდა მზადყოფნა მიუსხდნენ სსრ კავშირთან მოლაპარაკების მაგიდას.

სესიაზე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის წარდგენით მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. მიღებულია უზენაესი საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის ძირითადი კანონის 75-ე მუხლის განმარტების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საკითხი იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც წინათ დეპუტატთა ჯგუფმა გააკეთა ფინანსურ საქმიანობაში ზოგიერთი დარღვევის შესახებ, და გადაწყვიტა შექმნას საპარლამენტო-სამთავრობო კომისია სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით სათანადო რეკომენდაციების შესამუშავებლად.

მიღებულია გადაწყვეტილება ქალაქ ცხინვალისა და ჯავის ტერიტორიაზე შეიქმნას მმართველობის დროებითი ორგანოები პრეფექტურების სახით, აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის თაობაზე კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

მიღებულია დადგენილება უზენაესი საბჭოს პრესცენტრისა და პროგნოზირებისა და ინფორმაციის ცენტრის გაუქმებისა და მათი საშტატო ერთეულების საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატისათვის გადაცემის შესახებ.

28 ივნისს დეპუტატ ნოდარ ნათაძის შეკითხვის წესით დასმულ საკითხზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ პატიმართა გაგზავნის შესახებ უპასუხა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსმა მერად რაფავამ.

ამით სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

პაატა ციცაძე,
ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

მიჯნა — 20 ტონა აბრეშუმის პარკი

ეს-ესაა მთავრდება აბრეშუმის პარკის დამზადება, ცაგერისა და ალპანის პარკსაშრობებთან აქაიქ თუ გამოჩნდებიან პარკით დატვირთული მეაბრეშუმეები. დამზადების პუნქტებში მიტანილია ტონობით აბრეშუმის პარკი. მოწინავეთა რიგებს კვლავ შეემატა ისეთი კოლმეურნეობები, რომლებმაც პირობა გაანაღდეს და პარკსაშრობში გეგმით გათვალისწინებულზე მეტი აბრეშუმის პარკი მიიტანეს.

ლაჯანის კოლმეურნეობის მეაბრეშეებს გეგმით წელს 2357 კილოგრამი პარკი უნდა დაემზადებინათ. მათ კი საქმისადმი უდიდესი ერთგულება, პატრიოტული გრძნობა გამოავლინეს და ალპანის პარკსაშრობს 2370 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს. პირადი გეგმები ორმაგად გაანაღდეს მეაბრეშუმეებმა მანანა ასათიანმა, ფოთოლა გვიშიანმა, ლუბა ახვლედიანმა, ლეილა დავითულიანმა, რაისა აბაშიძემ, შურმან გვიშიანმა და ბევრმა სხვამ.

ლაილაშელ მეაბრეშემეთა პირობა 1720 კილოგრამი აბრეშუმის პარკის დამზადება იყო. მაგრამ მათ მიმღებ პუნქტს 1730 კილოგრამი პარკი ჩააბარეს და პარკის დამზადებას კვლავ აგრძელებენ. ათეულობით კილოგრამი აბრეშუმის პარკი შემატეს საერთო დოვლათს აქაურმა მეაბრეშუმეებმა — მზია ურთმელიძემ, ქუცურა ხეცურიანმა, მერი თვარაძემ, გულნარა ჩაჩხიანმა და სხვებმა.

ტონა აბრეშუმის პარკი

ორგელელ მეაბრეშუმეებს არც ერთი წელი არ ახსოვთ ისეთი, რომ თავი შეეკავებინოთ აბრეშუმის პარკის დამზადებაში და გაცემული პირობა არ შეესრულებინოთ. განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინეს წელს და 1136 კილოგრამის ნაცვლად მიმღებ პუნქტს 1150 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს. წარმატება გამოცდილი ქალების მზიანა დევდარიანის, ციალა ნათელა გურგუჩიანების, გუგულა ფალავანდიშვილის, ვერა ცარო გვიშიანების გარჯამ განაპირობა, რომელებსაც 50-60 კილოგრამზე ნაკლები აბრეშუმის პარკი არ მოუწევიათ.

მარჯვენა დაგელოცოთ, საქმის ერთგულო მეაბრეშუმეებო!

გაანაღდებული პირობა

თვალსაზრისი

თავისუფლების მოლოდინში

თავისუფლება ვინმეს კაპრიზი არ არის, იგი ცივილიზებულ სამყაროში ჩართვის ძირითადი საშუალებაა, თავისუფლება—პიროვნების, სოციალური ჯგუფის, ერისა და ეროვნების, სახელმწიფო ერთეულის მჭიდრო კავშირია ერთმანეთთან.

მონობაში თავისუფალი ვერ იქნები (უფრო სწორად მონობაში თავისუფლება უზნეობაა); მონობა, თავისუფლებისათვის ბრძოლა და თავისუფლება არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჩემის აზრით, ყველაზე კარგი და მშვენიერი თავისუფლება გახლავთ, ყველაზე კარგი და ყველაზე ძნელი, სახიფათო და თავსატეხი — თავისუფლებისათვის ბრძოლა.

დღემდე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღეგ გავრცელებული ათასგვარი ჭორი, სიცრუე და ორპირობა, შეღლი, მტრობა... მონობისადმი ერთგულების საშიში გადმონაშთია.

სასაცილოა, როცა ზოგიერთი ფეხბურთის უბურთოდ თამაშობს, აქლემის ქურდი ნემსის მომპარავს რომ მორალს უკითხავს... დასაგმობია, რომ ბევრს არ სურს აღიაროს ძველი ცოდვები, უფრო მეტიც, ამით თავისი პრინციპულობა, მედროვეობისადმი შეურიგებლობა უნდა დაგვიმტკიცოს.

ყოველგვარი მანკიერება თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე ადამიანების დაშინების, დათრგუნვის, დამონების ბრმა იარაღია.

მიუხედავად დღევანდელ საზოგადოებაში არსებული სიძნელეებისა ყველა სფეროში, ეროვნული საქმისადმი საწინააღმდეგო ნებისმიერ არასასურველ გამოვლინებას კოლაბორაციონიზმის სუნი ასდის, რაც შენს მიწაზე მტრის სასარგებლო სამსახურს ნიშნავს.

მაშინ, როცა რუსეთის სრულუფლებიანი პრეზიდენტი ბ. ელცინი „დამანგრეველ მიწისქვეშა ბრძეებს“ ახორციელებს კრემლის წინააღმდეგ, როცა თვით რუსი ხალხი კომუნისტური რეჟიმის დასობას, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ითხოვს, თანაც სულ უფრო და უფრო სათუო ხდება სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერა დღემდე ჩვენთვის ცნობილი ცხრა რესპუბლიკის მხრიდან, თანდათან ქარწყლდება „9+1“ მოლაპარაკების პრაქტიკული განხორციელების აუცილებლობა, შესაძლებელია ეს ფორმულა ასეთ პირობებში? ნუთუ ყველაფერი ეკონომიკური ბლოკადის, გარდამავალი პერიოდის სიძნელეების ბრალია?

კრემლის ერთადერთ იმედად რჩება ე. წ. „ურჩ“ რესპუბლიკებში ხალხის სოციალური პირობების გაუარესებით „ბუნტის“ გამოწვევა და სახოგადოებრივი აზრის განწყობა ეროვნული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, რასაც, მათი აზრით, უნდა მოჰყვეს ძლიერი მოძრაობის ჩამოყალიბება, რომელიც გაიმარჯვებს იგივე დემოკრატიულ არჩევნებში ცენტრისკენული ძალების სასარგებლოდ.

დღეს უკვე ლოდინის დრო აღარ არის, საჭიროა გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელება, კანონისა და კანონიერების უზენაესობის დამკვიდრება ყველა სფეროში, კერძო სექტორის უპირატესი განვითარება. რამდენიმე უმნიშვნელოვანესი კანონის რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში მიღება, საერთაშორისო ეკონომიკური კონტაქტების განმტკიცება...

თავისუფლების მოლოდინში სამ ძირითად ასპექტს უნდა გავუწიოთ ანგარიში.

—საერთაშორისო ვითარებას მსოფლიოში.

—მოვლენების განვითარებას რუსეთსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

—პოლიტიკურ ძალთა განლაგებას საქართველოში.

მოვლენათა განვითარება მსოფლიოსა და სსრ კავშირში დემოკრატიული ძალების სასარგებლოდ მიდის, ანალოგიურად უნდა ვივარაუდოთ მომავალშიც.

ასე, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან თუ რესპუბლიკის შიგნით არ განხორციელდა ფართო მასშტაბის ეროვნული შერიგება, ძირეული გარდატეხა არ მოხდა ეკონომიკის გაჯანსაღების თვალსაზრისით, „ლიბანიზაციას“ თავიდან ვერ ავიცილებთ.

რეალური ხდება, რომ თავისუფლების მოლოდინში უკვე წავიდა ლამაზი სიტყვების რახარუხის დრო. მხოლოდ პრაქტიკულმა საქმეებმა უნდა გადაწყვიტოს საბოლოო გამარჯვების ბედ-იღბალი.

გიორგი კვირკაშვილი.

ჩვენ გვწერენ

მადლობა სოფლის სახელით

სოფელი უსახელო განგებას ბუნების ყოველი სიკეთით დაუსაჩუქრებია, ლაჯანურის ხეობაში გაშენებულ ამ ტიპიურ ლეჩხუმურ სოფელს არც გლეხი კაცის ნაჯაფის მადლი აკლია. სწორედ მის მკვიდრთ გვემსახურება ფაცო ხეცურიანი.

უკვე რამდენიმე წელია ეს სუსტი ქალი სოფლის ფოსტალიონის მოვალეობას ასრულებს გულმოდგინებითა და შესაშჩნევი პასუხისმგებლობით. მიუხედავად იმისა, რომ საფოსტო განყოფილებიდან სოფელი საკმაო მანძილზეა დაშორებული, ახერხებს დროულად, შეუფერხებლად მიაწოდოს ადრესატს კუთვნილი ჟურნალ-გაზეთები თუ პენსია, ყველა სახის საფოსტო გზავნილება. ამ ქალის გონიერება და შრომისმოყვარეობა საკუთარი ოჯახის დიასახლისობაშიც ვლინდება. ორი შვილის კარგი დედაა, მზრუნველი მეუღლე. ამიტომაც დამსახურებულია ფაცოს მისამართით ნათქვამი ყოველი სამადლობელი სიტყვა.

თუმც, თითო-ოროლა მომხმარებელი ფოსტალიონის მადლიან საქმეს ნაკლებად ამჩნევს და ჟურნალ-გაზეთების დაგვიანებით ადრესატამდე მიტანის მიზეზს მის საქმიანობაში ეძებს. მე მინდა, მათ მოვაგონო, საყვედურის გამოთქმამდე დაფიქრდნენ, რომ სინამდვილეში ჟურნალ-გაზეთების შეფერხებით მიწოდება სულაც ცენტრის ბრალია და არა ფოსტალიონის, რომელიც სოფლის მძიმე და მოუვლელ გზაზე დაუზარებლად დაატარებს ფოსტალიონის ხელჩანთას.

აქვე მსურს, მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო უსახელოს ზედა უბნის ფოსტალიონი კაკო ყურაშვილი, რომელიც მზრუნველობით ეკიდება თავის მოვალეობას.

ამ პატარა წერილით მინდა გამოვხატო სოფლის მცხოვრებთა მადლიერება მათ მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

ჯ. გოგრგასლიძე,

სოფ. უსახელო.

ტრადიცია უნდა აღდგეს

ასკარელ ნერგი

ვაზის სიყვარულით, რომელიც შორეულ წარსულში იღებს სათავეს, საქართველოში ვერავის გააკვირვებ. ქვეყნის ბედუკუღმართობის დროს უმოწყალოდ იჩეხებოდა შვილივით ნაზარდი ვაზიც, მაგრამ, როცა სისხლის წვიმები შენელდებოდა და მტრისაგან გაპარტახებული სოფელი გაცოცხლდებოდა, ხარობდა ვაზიც, როგორც ქართული სულის უკვდავების სიმბოლო.

ვაზის კულტი რომ თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ლეჩხუმელ მშრომელებს ყველამ იცის, მაგრამ ბევრს, ალბათ, არაფერი სმენია იმის შესახებ, რომ რაიონში მევენახეობის განვითარებაში ლომის წილი უდევს ლეჩხუმის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მყუდროდ შეფენილ პატარა სოფელ ლესინდს, რომლის მადლიანი მოსახლეობა ოდითგან იყო ცნობილი ვაზის უხმოსავლიანი ჯიშების გამოყვანით. ჩვენი საუკუნის 50-იან წლების დიდი შრომითი აღმავლობის უამს რაიონის ყველა სოფელში გაჰქონდათ ლესინდელი მშრომელების დიდი რუდუნებით გამოყვანილი ვაზის ხარისხიანი ნერგი და აშენებდნენ ზვარს, რომელიც ისე შვენოდა ბარს, როგორც წინაპრის მიერ შემონახული ტყე თავისი იდილიური მყუდროებით ცნობილ მთას.

მართალია მუნობას ბევრი მისდევდა, მაგრამ ადგილობრივი ვაზის ჯიშების გამოყვანის საიდუმლო მაინც რამდენიმე ოჯახისათვის იყო ცნობილი სოფელში. მათ შორის ვისაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სამამულო მევენახეობის განვითარებაში, უნდა დავასახელოთ ბიქტორ, მიხეილ გაბრიელ, ერასტი სილაგაძეები, მიხეილ ჭაბუკიანი და სხვები.

საძირე მწარე ვაზი საკუთარ საკარმიდამოში მიწის ნაკვეთებზე გამოჰყავდათ. ამას ემატებოდა მისი ცალკეული ნარგავები, რომელიც ყველგან იყო გაფანტული, მუნობელის მზრუნველი ხელით მოვლილი და საიმედოდ დაცული. რაც შეეხება კოლმეურნეობას მწარე ვაზის პლანტაცია გაშენებული ჰქონდა ყველაზე საუკეთესო მიწის ნაკვეთზე. საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებების დროული გატარებით მეურნეობა აღწევდა, რომ საძირეზე მოთხოვნილება მთლიანად დაეკმაყოფილებინა ადგილობრივი წარმოების მწარე ვაზით. შემდეგ, როცა ლესინდისა და წილამიერის კოლმეურნეობები შეერთდნენ, ვაზის ხარისხიან ნერგზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა და საჭირო გახდა საძირის დამატებით შემოტანა. ინტენსიური დატვირთვის პირობებში გამოცდილი მუნობელი ბიბლიოგრ. ... ლან და საქმეს გაორკეცებული ენერგიით მოკიდეს ხელი. მაგ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 50-იანი წლების ბოლოსათვის ვაზის პლანტაციებით იყო დაფარული მიწის ყველა ნაკვეთი, სადაც ვენახის გაშენება იყო შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ნერგის გამოყვანა ხდებოდა უმცირესი დანახარჯებით, შრომის მინიმალური ანაზღაურების პირობებში, ვაზის ტრფიალი მუნობელები არ ღალატობდნენ საქმეს და გამოყავდათ ისეთი სარგავი მასალა, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებდა სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს. მაგრამ გამოხდა ხანი და ხელმძღვანელების ინიციატივით, ლასურიაშის ნოყიერ ჭალაზე მოეწყო რაიონში ვაზის პირველი სანერგე მეურნეობა, რომელიც დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი მუნობელებით. დიდი დანახარჯების მიუხედავად, მალე ცნობილი გახდა, რომ მეურნეობა მინიმალურად ვერ აკმაყოფილებდა კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის მოთხოვნებს, ნერგის გახარების მაჩვენებელიც არ აღემატებოდა 20-30 პროცენტს. რამაც მალე დააყენა დღის წესრიგში მისი გაუქმების საკითხი.

როგორც ვიცინშნა, ლასურიაშის სანერგე მეურნეობამ დანშნულება ვერ გაამართლა, მაგრამ მისი არსებობის წლებში ლესინდელი მუნობელების კეთილშობილური საქმიანობა მაინც ჩრდილში აღმოჩნდა, რასაც შედეგად მოყვა ინტერესის შენელება და სოფლისათვის ტრადიციული ხელობის მივიწყება. ამას ხელი შეუწყო ფალსიფიცირებული ღვინოების წარმოების ზრდამ, რომელსაც ფორმალურად გამოცხადებული ჰქონდა ბრძოლა, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი კეთდებოდა მისი აღკვეთისათვის. შაქრიანი ღვინის დამზადების ტექნოლოგია მისაღები აღმოჩნდა უქნარებისათვის, რომლებმაც თავი დააღწიეს შრომატევადი სამუშაოების შესრულებას, რომელიც ვაზის მოვლა-პატრონობასთან იყო დაკავშირებული. მაშინ, სახელოვანი ქართული ღვინოების სახელის გატეხაზე რომ არაფერი ვთქვათ არავინ ფიქრობდა რა აუნაზღაურებელი ზიანი შეიძლება მოეტანა ასეთ მანკიერ პრაქტიკას ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

ახლა, როცა, საბედნიეროდ ვაზის კულტურისადმი მიდგომა რადიკალურად შეიცვალა და ყველა ცდილობს იქონიოს თუნდაც მცირე, მაგრამ საკუთარი ვენახის ნაკვეთი, ტრადიცია უნდა აღდგეს, რამეთუ ვაზის ხარისხიანი ნერგის გამოყვანა ხანდაზმულობის მიუხედავად, ჯერ კიდევ ძველებურად ეწაფება ხელთ ერასტი სილაგაძეს, ალიოშა სილაგაძეს, მიხეილ ჭაბუკიანს და სხვებს. შემდეგ, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, საქმეს ახალგაზრდობაც მოკიდებს ხელს და სოფელში კვლავაც აღორძინდება სახელოვანი ტრადიცია.

ომარ ჭაგუკიანი.

ქართული გვარების ისტორიიდან

ახვლედიანი

ყველა ადამიანს აინტერესებს თავისი გვარის წარმომავლობა, რა დროიდან მოდის, მისი გავრცელება, სოციალური მდგომარეობა, სახელოვანი ადამიანები და ა. შ.

მაგრამ ქართული გვარების უმრავლესობის წარმოშობაზე ძველი წერილობითი დოკუმენტები არ შემონახულა. დღეს აღრიცხულიც არ არის ქართული გვარები. მით უმეტეს ლეჩხუმის გვარების შესახებ წყაროებში თითქმის არაფერია შემონახული. ლეგენდები საქმეს ვერ შველის, ამიტომ ცალკეული გვარის ისტორიის საფუძვლიანი მიმოხილვა არ ხერხდება. მაგრამ ვიწყებთ რა გვარებზე მასალების გამოქვეყნებას, ეს მასალები მცირედ მაინც დააკმაყოფილებს მკითხველს.

ამისათვის ვიყენებ ჩემ მიერ შედგენილ ქართული გვარების ე. წ. ლექსიკონებს, რომელიც შედგენილია რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთ-გურია-იმერეთის ცალკეულ რაიონებზე, სადაც მოცემულია 5000-მდე გვარის საცხოვრებელი ადგილი, სოფლების მიხედვით მცხოვრებთა რაოდენობა და სხვა.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მონაწილეობა მიიღონ გვარების ისტორიის შესწავლის საქმეში. ბევრ ოჯახში ჯერ კიდევ ინახება დოკუმენტები, რომლებიც საჭირო მასალებს იძლევიან გვარების ისტორიის შესახებ.

* * *

ახვლედიანის გვარი ლეჩხუმში ერთ-ერთი ძველი და ადგილობრივი წარმოშობისაა, მაგრამ წერილობით წყაროებში იგი არ გვხვდება მე-17 საუკუნემდე.

პირველი სამართლის ძეგლი, რომელშიც ლეჩხუმის გვარებია მოხსენიებული, მე-16 საუკუნეს განეკუთვნება. ძეგლში, ჩამოთვლილ 9 სოფელში 30-მდე გვარია მოხსენიებული. მკითხველისათვის საინტერესო იქნება ეს გვარები. სოფელ ლასხანაში ცხოვრობდნენ მუსელიანი, ლაკაუხელიანი, გუგუვა, ლაკუეპიანი, სოფელ მახურას: ქარსილაძე. უგრეხელაშვილი, სოფელ ჩხუტელში გოჩიანი, შოვიანი, ცვარიანი, სილაკაძე, სოფელ ლახეფაში ჩაკუტაძე, სოფელ ოყურეშში გიორგი ბერიძე და სხვ.

აქედან ჩანს დღემდე როგორ შეიცვალა ზოგიერთი გვარის პირველი სახე.

დოკუმენტი არასრულყოფილია და მასში მაშინდელი ყველა სოფელი და გვარი არ არის მოცემული, მაგრამ იმ დროს რომ ახვლედიანის გვარი არსებობდა, ამას მომდევნო დროის მასალაც ადასტურებს.

ახვლედიანების ძირითადი საცხოვრებელი ადრინდელი ცენტრი სოფელი აღვი ჩანს, ხოლო შემდგომში ეს გვარი გავრცელდა რიონის ხეობაში.

1859 წლის აღწერით აღვში 81 კომლია ნაჩვენები, აქედან აზნაურია 31 ოჯახი, 261 მცხოვრებით. ამდენი აზნაური ლეჩხუმის მაზრის არცერთ სოფელში არ იყო. ოყურეშში იყო 24, დერჩში 21 და ა. შ. აღველ აზნაურთა უმრავლესობა ახვლედიანის გვარისანი უნდა იყვნენ.

1968 წლის ჩვენს მიერ აღწერილი მასალებით ცაგერის რაიონში ახვლედიანი ყველაზე დიდი გვარია მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. აღვში 152 სული იყო, ცაგერში—165, უცხერში—75, ნასყერში—72 დეხვირში—71 და ა. შ. სულ რაიონის 16 სოფელში ახვლედიანის გვარის 916 მცხოვრები. ახვლედიანები ცხოვრობენ რიონის ხეობაში—ტვიშში, დერჩში, დღნორისაში, მექვენაში ცაგერაში და სხვაგან.

მოსახლეობის მიგრაცია გვართა მიგრაციასაც იწვევდა. ასე დაასახლეს ეს გვარი ვანის რაიონში ე. წ. „ახვლედიანის გორაზე", სადაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ანტიკური პერიოდის ბერძნული ქალაქი და მდიდარი განძები. საკმაოდ ცხოვრობენ ახვლედიანები ქუთაისში, თბილისში და სხვაგან.

გვარი ახვლედიანის წარმოშობა ქართული გვარების წარმოების წესს არ შეესაბამება, როგორც ცნობილია ქართული გვარების უმრავლესობა მამის სახელისაგან არის მიღებული და ძე და შვილით ბოლოვდება. ამ გვარის ძირი „ახვლედ" პიროვნების საკუთარი სახელი არ არის. შეიძლება იგი სახეშეცვლილი სახითაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ გარკვევა საიდან მოდის ეს ძირი, მაინც არ ხერხდება. არის გვარები ადგილის სახელისაგან ნაწარმოებიც, მაგრამ მათ გააჩნიათ სადაურობის მწარმოებელი „ელ" დაბოლოება. ამ გვარს ასეთი დაბოლოება არ აქვს. ლეჩხუმიდანაა წარმოშობილი გვარი ოყვრეშიძე—ცხოვრობენ ზემო იმერეთში—უნდა იყოს ოყვრეშელიძე—აქაც დაკარგულია გვარის მაწარმოებელი „ელ" სუფიქსი.

გადმოცემის მიხედვით ახვლედიანი უნდა მომდინარეობდეს—აღვის სახელიდან, აღველი არიო, ალბათ შემდეგ მიიღო სახეშეცვლილი ფორმა, განზოგადოებული სახით, ახვლედიანი. ეს შეიძლება ასეც მომხდარიყო, რადგან მსგავსი შემთხვევა სხვაც არ გვაქვს. მეორე ასეთი სახით წარმოებული გვარი დღემდე მიკვლეული არ არის. თვით აკადემიკოს გ. ახვლედიანს საეჭვოდ მიაჩნდა თავისი გვარის ასეთი წარმოშობა.

ახვლედიანები გლეხებიც იყვნენ, აზნაურებიც და თავადებიც. მოკლედ მოგითხრობთ, როგორ იბრძოდა ახვლედიანის გვარი თავადობის მოპოვებისათვის და იმერეთის სამეფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის.

მე-17 საუკუნეში იმერეთსა და ოდიშს შორის ატეხილ დაუსრულებელ ბრძოლაში, თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ ლეჩხუმის დიდებულები. ერთ-ერთი ასეთი იყო ხოსია ლაშხიშვილი, ლეჩხუმელი თავადი, რომელიც 1661 წელს მიემხრო იმერეთის მეფეს ოდიშის მთავარ ვამეყის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხოსიამ ვამეყს მოსყიდული სვანები მიუგზავნა და ვერაგულად მოაკვლევინა.

იმერეთის მეფემ ეს ამბავი დაუფასა და ბევრი მამული და ყმა გლეხი აჩუქა, მაგრამ როგორც საქართველოს ისტორიას სჩვევია, იმერეთის თავადობამ ვერ აიტანა ლაშხიშვილის ასეთი განდიდება და იგი მოაკვლევინეს ლეჩხუმის აზნაურს ხოსია ახვლედიანს, ამის შესახებ სწერს შარდენი. ამით მან იმერეთის დიდებულების გული მოიგო, ეს კი მას ლეჩხუმის თავადობის მოპოვებისათვის ესაჭიროებოდა.

ხოსიას ლეჩხუმის სარდალ-მოურაობა უბოძეს და იგი იმერეთის სამეფოში ყველაზე გავლენიანი თავადი გახდა. ახლა მას როგორც წესი, აღზავებამ ბევრი მტერი გაუჩინა. მის წინააღმდეგ გაილაშქრეს მთელი იმერეთის თავადობამ და სამღვდელოებამ ეპისკოპოზ გაბრიელ ჩიქოვანის მეთაურობით.

ამ დროს დედოფალმა დარეჯანმა იმერეთის ტახტიდან გააძევა მეფე ბაგრატ მეოთხე. იგი ლეჩხუმში შეიფარა ხოსიამ. ამით განაწყენებულმა დარეჯანმა ხოსიას სამკვიდრო მამულები ჩამოართვა. შექმნილი რთული სიტუაცია შესანიშნავად განჭვრიტა და გამოიყენა ხოსიამ. ითავა დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა. მას ამ საქმეში მიემხრენ იმერეთის დიდებულები, რომლებიც ადრე მას მტრობდნენ. ხოსია წინასწარ შედგენილი ცბიერი გეგმით მოქმედებდა.

პირველ საფეხურზე ცდილობდა მოკავშირეებისაგან ფარულად დარეჯან დედოფლის ნდობა მოეპოვებინა. მან შესაშური სიზუსტით მიაღწია ამ მიზანს. დედოფალს მისწერა,.... თუ დედოფალი იკისრებს დამიბრუნებს მიწებს, რომელიც დედოფალმა ჩამოართვა და მისცემს სამეფო კარის დიდი ვეზირის მიწებსაც, იგი გადასცემს მას ბაგრატ მეფეს ცოლითურთ".

დარეჯანი მას ყველა სურვილის შესრულებას შეპირდა. დედოფალმა იგი იხმო და უდიდესი ნდობა გამოუცხადა, იშვილა ძუძუზე კბილის დადების წესით. ხოსიამ ისარგებლა რა ამით, მალე დედოფალი სიცოცხლეს გამოასალმა და იმერეთის ტახტზე კვლავ ბაგრატ მე-4 დასვა. ეს 1668 წელს მოხდა, ახლა მეფე დიდად წუალობდა ხოსიას, სამეფოში მეორე კაცი გახდა, მაგრამ იმერეთის თავადობა კვლავ აუჯანყდა ხოსიას და შეთქმულებმა მოკლეს იგი.

ასე ეწირებოდა საქართველოში გაუთავებელ შინაომებს იმერეთის სამეფოს ეკონომიკური რესურსები და წარჩინებული პირები. დღეს ამ გვარიდან ბევრი სახელოვანი ადამიანია ცნობილი, მარტო აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის მხარდამხარ ელენე ახვლედიანის გახსენებაა საკმარისი.

ჯუმბერ სალინაძე.

ძვირფასო თანამემამულენო!

გარდაქმნასა და ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებით საქართველოში საარქივო საქმე სწრაფი ნაბიჯებით მიდის : წინ. ამასთან დღის წესრიგში დადგა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შესწავლას მოითხოვს. საქართველოს ეროვნული არქივები ჩვენი დიდებული წარსულის განძთსაცავია. აქ კინო და ფოტოფირებზე ხმის ჩანაწერებში შემონახულია ისტორიული მნიშვნელობის მოვლენისა და ფაქტის, ცნობილ მამულიშვილთა ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები.

წლების განმავლობაში არქივის ღვაწლმოსილი მუშაკები მოიძიებდნენ, აგროვებდნენ და სათუთად უნახავდნენ შთამომავლობას იმ ძვირფას დოკუმენტებს, რაც „უკვე საქართველოს მატიანედ ქცეულა. ამ დიდებულ საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილებმა თავისი პირადი არქივების სახელმწიფო შენახვაზე გადმოცემით.

ძვირფასო თანამემამულენო! გთხოვთ არქივის მუშაკებს გაგვიწიოთ თანადგომა, იმოღვაწეოთ ჩვენთან ერთად საქართველოს მატიანეს გასამდიდრებლად. მოიძიეთ თქვენს ახლობლებში არსებული წერილები, მოგონებები, საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და ისინი ერის, ფართო საზოგადოების კუთვნილება გახადეთ.

ქართველი ხალხი სათანადოდ დააფასებს თქვენს დიდ მცდელობას, ამასთან ერთად გპირდებით, რომ პირადი არქივის მფლობელს ჩვენს დიდ მადლობასთან ერთად ექნება დოკუმენტების დაცვის სრული გარანტია და შესაბამისი ანაზღაურება.

ჟ. ხეცურიანი,
ცაგერის რაიარქივის გამგე.

სკოლამდელი აღზრდა

შევუქმნათ სასურველი გარემო

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა ტიპიურია და სრულყოფილად აკმაყოფილებს სკოლისგარეშე დაწესებულების წინაშე მდგარ თანამედროვე მოთხოვნებს. იგი აღჭურვილია მისაღები, საძინებელი, სათამაშო, სამეცადინო ოთახებით. კარგად მოწყობილი კვების ბლოკით, საჭირო ინვენტარ-მოწყობილობებით, გასართობი საშუალებებით, აქვს კეთილმოწყობილი ვრცელი ეზო.

ყველამ იცოდეს, რომ ჩვენს პირობებში ასეთი დიდი შენობის შიფერით დახურვა შეცდომა იყო, მაგრამ რადგან თუნუქის სახურავი ვერ იშოვნეს დაიხურა შიფერით, რაც დროთა განმავლობაში დაზიანდა, რის გამოც თითქმის მთელ შენობაში წვიმა ჩამოდიოდა. ამას წელს ზედ დაერთო მიწისძვრა და ძლიერი ქარები.

აუცილებელი გახდა შენობის სახურავის გამოცვლა. განათლების განყოფილებამ ცაგერის რაიონის სასწავლო-დაწესებულებების კაპიტალური შეკეთებისათვის წელს გამოყოფილი 110 ათასი მანეთიდან ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყო 35 ათასი მანეთი.

სამუშაოს შესრულებაზე ხელშეკრულება გააფორმეს სამშენებლო კოოპერატივ „ცისკართან" (ხელმძღვანელი გრ. ჩიქოვანი). კოოპერატივის ხელმძღვანელობამ უკვე იშოვნა და ადგილზე მიტანილი 1000 კვადრატული მეტრი თუნუქის უუანგი სახურავი, მხურავთა ბრიგადა შეუდგა მუშაობას.

საბავშვო ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობა (გამგე ლ. ფალავანდიშვილი) შენობის ექსპლოატაციაში გაშვების დღიდან აყენებს საკითხს სარდაფში გრუნტის წყლების დამწრეტი არხების მოწყობაზე. რადგან ამ წყლებით საშიშროება ექმნება შენობის საძირკველს და მთლიანად შენობას. აღნიშნულის მოსაგვარებლად იზრუნეს ქვედა ცაგერის საკრებულოსა და განათლების განყოფილების ხელმძღვანელებმა, გადაწყდა სარდაფში მოეწყოს სადრენაჟო ორი არხი, რომლის მოწყობაზე შეფობა იკისრეს ცაგერის №23 საგზაო სამმართველომ (უფროსი კ. გოგიძე) და ცაგერის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ზ. ჩიქოვანი).

გულსატკენია, რომ ბაგა-ბაღის შენობაში დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა უმოქმედოდაა წყლის ნაკლებობის გამო. რეკონსტრუქციას საჭიროებს საქვაბე მეურნეობა, ვფიქრობთ განათლების განყოფილება, სოფლის საკრებულო თბობის სეზონის დადგომამდე გაითვალისწინებენ მას და ბაგა-ბაღში შექმნიან პატარებისათვის სასურველ გარემოს.

ვლ. დავითულიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილოცავთ

ნაზიკო, ვახტანგ კოკაიანებს

გილოცავთ ლალისა და კარლოს ბედნიერებას, ბედნიერება და სიხარული არ მოკლებოდეს თქვენს ფუძე-ჭერს.

ფაცო კვირკაშვილი, თათია, გენური ქარსელაძეეში.

ოთარ ბესარიონის ძე ჭაბუკიანს
მერი გალაქტიონის ასულ ასათიანს

გილოცავთ ბელას ბედნიერებას. ემრავლებინოს ქართველ ერი. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

როზა, კაკო ხაბულიანები, იური მაყვალა ომანაძეები, დოდო ელგუჯა, ლენა სალინაძეები.

ხახა ჯიაძეს
მალხაზ ბენიძეს
ცაცა, ძაია ბუხიძეებს

გილოცავთ ვაჟიშვილის, შვილიშვილისა და ძმისშვილის შეძენას. გამრავლდით და გახაროთ ღმერთმა.

ნორა, ლუიზა, ქეთინო, ლევან, ვახტანგ, დადაში ხაბულიანები, სალომე, ნარგიზა, მურმან ახვლედიანები.

გელა სამსონის ძე ასათიანს

გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას. ჯანმრთელობა, სიხარული და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იცოცხლე შვილებსა და შვილიშვილებში.

დები დოდო, თამარი ლილი, ნელი.
დავით, ანზორ, გოგი გალინე, ციური, დათო, შაქრო, თენგიზი, ჟორა, შურა ასათიანები ოჯახებით.

გელა სამსონის ძე ასათიანს

გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას. ძალიან დიდხანს იცოცხლე ჩვენს საამაყოდ და საიმედოდ, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი კეთილ საქმეში.

სოფიკო ლელა, მანანა, კოტე ასათიანები.

ნანა ჯიაძეს
მალხაზ ბენიძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, მრავალი და-ძმა შესძენოდეს. ღმერთი იყოს მფარველი მისი.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები.

ვაჟა ჩაფრაშას

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. მრავალი და-ძმა შეძენოდეს. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები.

იამზე ზურაბის ასულ სვანიძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, გფარავდეს მაღალი ღმერთი.

ლელა, ბელა, ირმა სვანიძეები.

ნანული რომანოზის ასულ სალიხაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარულიანი, ბედნიერი წლები შეგმატებოდეს შენს მონაგართან ერთად.

საფინანსო განყოფილების თანამშრომლები.

ანეტა, ლელა, ლია, ლევან ჩიქოვანებს

გილოცავთ ლალის ბედნიერებას. სიხარული, სიყვარული და კვლავ გამრავლება დაგბედებოდეთ, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

დოდიკა, ალექსანდრე ბერიძეები.

ლელა, ლევან, ანეტა, ლია ჩიქოვანებს

გილოცავთ ლალის ბედნიერებას. სიყვარული, სიკეთე, ბედნიერება ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი.

ოთარ სილაგაძე ოჯახით.

ბოსტნეული რომ სუფთა იყოს

ამჟამინდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა პირველ პლანზე აყენებს სურსათის დამატებით მარაგზე პირად ზრუნვას. და აქ ბევრი რამის მოცემა შეუძლია საკარმიდამო ნაკვეთებს. მათ, ვინც მებოსტნეობას ეწევა, უნდა ახსოვდეს მცენარეთა მოვლის უმნიშვნელოვანესი წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ სუფთა უნიტრატო და უპესტიციდო ბოსტნეულის მოწევას.

აი რამდენიმე რჩევა: კარტოფილის კარგ მოსავალს იძლევა ის ნიადაგი, რომელიც მინერალურთან ერთად დამუშავებულია ორგანული სასუქებით. პირველად მისი განოყიერება უნდა მოხდეს რგვის წინ. ბოლქვების სუსტი განვითარებისა და კარტოფილის ფოთლის ღია ფერის მიღების დროს მას ანოყიერებენ აზოტიანი და კალიუმიანი სასუქებით დამატებითი ბუტუნიზაციის ფაზაში.

კომბოსტოსათვის აზოტიანი სასუქის ყველაზე კარგი ფორმაა შარდოვანა. სტაფილოს და სუფრის ჭარხალს ანოყიერებენ აზოტიანი სასუქებით ორჯერ, ოხრახუშს, ნიახურს, ძირთეთრას ერთხელ. ბოლოკს და თალგამს განოყიერება საერთოდ არ სჭირდება. ჭარხალში, თუ დამატებით შეიტანთ აზოტის დოზებს შეიძლება მნიშვნელოვანი რაოდენობის ნიტრატები დაგროვდეს. მისი შემცირების მიზნით იყენებენ ორმოცპროცენტიან კალიუმის მარილს, რომელიც შეიცავს ქლორს, ყოველივე ეს ნიტრატებს ერთნახევარჯერ ამცირებს.

მეტად მომთხოვნია ნიადაგის ნაყოფიერებისადმი, განსაკუთრებით რომ იგი [illegible] ულ ნივთიერებებს—კიტრი, ამიტომ იგი კარგად რეაგირებს ნაკელის შეტანაზე. კიტრის ნათესებში აზოტი პირველად შეაქვთ აღმონაცენის ამოსვლიდან 10-15 დღის შემდეგ. რაც შეეხება პამიდორს, აქ უკვე არ შეიძლება ბოროტად გამოიყენოთ აზოტი მცენარის განვითარების მიზნით. ერთდროულ მომწიფებას და ნაყოფის ხარისხის ამაღლებას ხელს უწყობს ფოსფორკალიუმიანი სასუქი. პამიდორში პირველ განოყიერებას ეწევიან დარგვიდან ორი კვირის შემდეგ, შემდგომს კი—ათ დღეში ერთხელ, და დამოკიდებულია მცენარის მდგომარეობაზე.

მარილის მომატებულ კონცენტრაციას ვერ იტანენ ბოლქვიანი მცენარეები. ხახვისათვის რეკომენდირებულია ნაკელი, მცირე დოზით კი აზოტიანი სასუქი.



ბაქო. ფირმა „ხალი" თავის ამოცანად ისახავს აზერბაიჯანის უძველესი ხელოვნების—ხალიჩის ქსოვის ხელოვნების პროპაგანდას და დაცვას. ფირმა შექმნილია ძველ ქალაქ „იჩერი შერეხში" ამიერკავკასიის მუსულმანთა სასულიერო სამმართველოსთან.

ფირმის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია ძველი და თანამედროვე ოსტატების მიერ შექმნილი ხალიჩის ნაწარმი. აქვეა გამოფენილი დეკორატორთა მიერ შესრულებული ე. წ. რბილი ქანდაკებები.

სურათზე: საგამოფენო სალონში—მხატვარ ელდა მიქაელოვას საავტორო ხალიჩები და ჭარან იბრაგიმოვის რბილი ქანდაკებები.

ო. ლიტვინის ფოტო.

მეუღლე ქუქუნა ონიანი, შვილები ციცინო, ნაირა, ლელა, ძმა გალაქტიონი, დები ლიდა, პაშა ცხვედიანები, შვილიშვილები მიშიკო, ზაალი, ქეთი, ანა, პაატა, სიძეები ტარიელ სვანიძე, რამაზ კოპალიანი, რძალი მარგალიტა, ბიძა ვარლამ მუშკუდიანი, ძმისშვილები გელო, ნოდარ, გულადი ცხვედიანები, დისშვილები ლუარა სალინაძე, გენური, ნანული გოლეთიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გერასიმე (ბიჭიკო) პავლეს ძე ცხვედიანი.

დაკრძალვა 4 აგვისტოს, კვირას ქ. ცაგერში. გამოსვენება თამარ მეფის ქ. № 18 დან.

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის მუშაკები თანაუგრძნობენ ქუქუნა ონიანს, ნაირა, ლელა ცხვედიანებს

გერასიმე ცხვედიანის

გარდაცვალების გამო.

ტატიანა გიორგაძე ოჯახით იუწყება

ლიზა ომანაძის

გარდაცვალებას.

შვილები ოთარი, ნანული, იური, მაგული, და პაშა, ძმები ვანო ბადე, ბუდუ ჩაკვეტაძეები, რძლები მაყვალა, მერი, თინ. მედიკო, ვენერა, შილი ტატიანა გიორგაძე, შვილიშვილები გეგა, ვაჟა, მარინე, გოჩა, ხვიჩა, ალუდა, ანდრო, მაია, გულნარა, ლამზ, მადონა, მარინე, მანანა, იმედა, სიძეები გუშერ ბენიძე, ჯაბო ბენდელიანი, აკაკი შვანგირაძე, ლევან სალინაძე, შვილთაშვილები, ლაშა, ნათია, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიზა ასკალონის ასული ჩაკვეტაძე-ომანაძე.

დაკრძალვა 3 აგვისტოს, შაბათს, სოფ. ზუბში.

კორნელია გოლოძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გერასიმე ცხვედიანი.

მერაბ, ვალერი ბენიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიზა ომანაძე.

გურამ, მერაბ გუგავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ ბეჟლარის ასული ახვლედიანი.

დაკრძალვა 30 ივლისს, ქ. ხაშურში. გამოსვენება ელექტროფიკაციის ქ. № 10.

გუშერ, შიო, ვენერა ბენიძეები, ლევან სალინაძე ოჯახებით იუწყებიან

ლიზა ომანაძის

გარდაცვალებას.

რაფიელ კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გერასიმე (ბიჭიკო) ცხვედიანი.

დუგლას ომანაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლიზა ასკალონის ასული ჩაკვეტაძე—ომანაძე.

კაკო ხაბულიანი, დოდო, მიხეილ სალინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მაყვალა, იური ომანაძეებს დედამთილისა და დედის

ლიზა ჩაკვეტაძე-ომანაძის

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი" გამოდის:
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის—22-25, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების —22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის— 22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა № 80 ტირაჟი—4546

რედაქტორი
ნ. ნიმსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.